# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №248

2018 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების დასაფინანსებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი განისაზღვროს გრანტის გამცემად.
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ გრანტის გაცემის წესი, საგრანტო კონკურსის დებულებები და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი